ო ქ მ ი N 9

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი. 27 სექტემბერი 2024 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.ფრიდონ შონია

5.დიტო ხასია

6.ბადრი რიჟამაძე

7.გურიელ ქარდავა

8.მალხაზ იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 17 სექტემბრის N50 – 502426141 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 25 სექტემბრის N50 – 502426912 წერილის განხილვა:

= „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

=ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახე" განკარგულების თაობაზე.

+ + +

N9

245.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვი საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8 წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 17 სექტემბრის N50 – 502426141 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი

ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით, კინჩხურას წყლის მაგისტრალი რომელიც მდებარეობს ხეთის ადმინისტრაციულ ერთეული, სოფელ ლარჩვაში. მაგისტრალის სიგრძე 2250 მეტრი საბალანსო ღირებულება 58937ლარი, ნარჩენი ღირებულება 52372 ლარი და ხეთაში წყლის მაგისტრალი რომელიც მდებარეობს ხეთის ადმინისტრაციულ ერთეული სოფ. ხეთაში მაგისტრალის სიგრძე 1820 მ. საბალანსო ღირებულება 13149,6ლარი ნარჩენი ღირებულება 12625 ლარი. შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებაზე" გადაცემაზე.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

2.“ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება (ს/კ 45.12.27.007) რომელიც მდებარეობს საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე 12,01 კვ. მეტრის ოდენობით, არის დაუტვირთავი. მერიაში შემოსულია მოქალაქის განცხადება, გამონთავისუბლებული ფართის იჯარით აღებაზე.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 12,01 კვ. მეტრის ფართი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაიცეს აუქციონის წესით, ორი წლის ვადით.

აღნიშნული ფართის აუდიტორული შეფასება ლარში არის 960 ლარი, საწყისი წლიური საიჯარო ქირა არის 960 ლარი, იჯარის ვადა 2 წელი.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი არც ერთ.

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

3.ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მერიის განმარტებით მიმდინარე წლის 18 ივლისს მიღება-ჩაბარების აქტი N 34 -ის საფუძველზე მიღებული იქნა 2024 წლის 5 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 97 ხელშეკრულების შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო

დროშისა და სადროშე ბოძის შეძენა - მონტაჟის სამუშაოები 80447,24 ლარის ღირებულებით.

მისი ნორმალურად ფუნქციონირებისა და მოვლა-შენახვისთვის მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ქონება გადაეცეს სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით შპს „ხობი დასუფთავება განათებას".

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდაგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/.